

საგაზეთო

საქართველო
საგაზეთო

საორტული გაზეთი ხუთშაბათი 2 ნოემბერი 2006 №254 (2876)

ფასი 50 თეთრი

გამორთა ტელევიზიონური, ჩართა ცხივრება



სიბართლა
ყველა ფირზე
მნარაა

გადრი კატილაპის ფოტო

რუსულმა არმიამ შავი მამლის სისხლი დაღვარა?



არ გავიდა
არ გავიდა
არ გავიდა
არ გავიდა

UEFA
CHAMPIONS
LEAGUE

AFP ლონდონიდან

ჯგუფი

დიდი მესაფლავე: არსაიდან ხმა, არსით ქანოლი

ბარსელონა 2:2 ჩელსი
1:0 დეკუ (3), 1:1 ლამპარდი (52), 2:1
გუდიონსენი (58), 2:2 დროგბა (90)
ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, მარკესი, პუიოლი, ვან ბრონკოორსტი, ხავი (ინიესტა 83), მოტა (ედმილსონი 57), მესი, დეკუ, რონალდინიო, გუდიონსენი (ჟიული 77)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ჩელსი: ილარიო, ბულარუზი (ჯ. კოული 75), რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, ესინი, მაკელელე, ლამპარდი, ბალაკი (პ. ფერეირა 90), დროგბა, რობენი (კალუ 73)
მწვრთნელი: ჟოზე მურინიუ
გაფრთხილება: ლამპარდი, რობენი, ე. კოული, მესი, მოტა, გუდიონსენი, ედმილსონი, ჯ. კოული, ტერი, ესინი
მსაჯე: სტეფანო ფარინა (იტალია)
98 000 მაყურებელი

დროგბამ ასიათასობით აღამიანის ოცნება დააბრუნა



ნელეებს დავთრები აურია. კაცმა, რომელიც თავის დროზე „ბარსას“ ყველაზე დიდი მტრის, ჟოზე მურინიუს შეგირდი გახლდათ, რონალდინიოს პასის შემდეგ ყოფილ მწვრთნელს გული ეშხიანი გოლით გაუხეთქა. „ჩელსის“ პორტუგალიელი მეკარე ილარიო იმ ეპიზოდში უძლური იყო.

მე-8 წუთზე არგენტინელმა ლეო მესიმ ჩვეულად ჩაიდრიბლინგა მარცხენა ფლანგზე და კარგად გაადაწოდა რონალდინიოს, მაგრამ ბრავილიელმა ვერ ივარგა და ანგარიშიც უცვლელი დარჩა. ცხადი იყო, ლონდონელები „ბარსას“ იერიშებს უპასუხოდ არ დატოვებდნენ და ვიქტორ ვალდესისა და რამდენჯერმე მოუწია თავის გამოდგამა.

ნიელთა მისადგომები ესეინის და რობენის ბასრი დარტყმებისგან იხსნა. რომ არა ვალდესი, ლონდონელები ანგარიშს მალე გაათანაბრებდნენ. საქმე არც ენრიკე ილარიოს მოკვლეობა, „ჩელსის“ გოლიკებრმა ხავის სახიფათო გასროლილი უკუაგლო. მოკლედ, „კამპ ნოუსზე“ საოცარი ფეხბურთი გაჩაღდა, რომლის ბრწყინვალეობაც მხოლოდ არბიტრის დაბეულობამ დაჩრდილა — იტალიელი სტეფანო ფარინა ნამდვილად ვერ იდგა ამ რანგის თამაშის სიძალღეზე. ფარინამ ყვითელი ბარათები უხვად აფრიალა. ეტყობა, მატჩის დაძაბულობამ მონუსხა და ტიტანთა ომს არასასურველი ჩარევებით კინაღამ ეშხი დაუკარგა... 52-ე წუთზე „კამპ ნოუსზე“ მოხდა საფეხბურთო საოცრება, რომ-

ლის მსგავსი ვინძლო მრავლისმნახველ გულშემატკივრებსაც არ ახსოვთ: რობენმა ბურთი ფრენკ ლამპარდს მიაწოდა, „ჩელსის“ ვარსკვლავი თითქმის კუთხურის ხაზზე იდგა, საიდანაც, ერთი შეხედვით, გოლის გატანა შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ... მსგავს გოლებს არ აღწერენ, მხოლოდ უყურებენ და უდიდეს სიამოვნებას იღებენ.

გუდიონსენის გოლიც კარგი იყო, არა ისეთი, როგორც მისი ექსტანაუნდელია, თუმცა რონალდინიოს მიერ დაბრუნებული ხალიდ ბულარუზი, ფილიგრანული პასი და „გუდის“ საგოლე დარტყმაც ძალიან ლამაზი გამოდგა. ისლანდიელი მატჩის წინ ამბობდა, რაც „ბარსაში“ მოვედი, „კამპ ნოუსზე“ გოლი არ შემიგდია და კარგი იქნება, ამას „ჩელსისთან“ თუ გავაკეთებო. ინატრა და აუსრულდა კიდევ...

მეორე ტაიმის მიწურულს უფრო კატალიონელები აქტიურობდნენ, თუმცა მატჩი მათი გულისმომკვლელი გოლით დასრულდა: მსაჯის მიერ დამატებული დროის მესამე წუთზე დიდი დროგბამ რაფაელ მარკესი გააბითურა და ვიქტორ ვალდესს სამარესავით დაღუმებული „კამპ ნოუს“ თვალწინ გაუტანა... სიხარულისგან მუხლებზე დაცემულ ჟოზე მურინიუს კი ისეთი ბლავილი აღმოხდა, თითქოს მტრის ტრიბუნების სამუდამოდ ჩაჩუმება სურდა.

ლევისკი 0:3 ვერდერი
0:1 მიხაილოვი (33ს.კ.), 0:2 ბაუმანი (35), 0:3 ფრინგისი (37)
ლევისკი: მიხაილოვი (მიტრევი 46), მილანოვი, ტომუზაოვი, ტომაშინი (ე-

ანგელოვი 57), ვაგნერი, ბორიმიროვი, ს. ანგელოვი, ერომოიგე, ტელკისკი (დემიტროვი 69), იოვოვი, ბარდონი
მწვრთნელი: სტანისლავ სტოილოვი
ვერდერი: ვიზე, ფრიცი, მერტსაკერი, ნალდო, ვომე (პასანენი 85), ფრინგისი, ბაუმანი (ანდრეასენი 78), ვრანიში, დიეგო, კლოზე, პუნტი (კლასნიჩი 74)
მწვრთნელი: თომას შაფი
გაფრთხილება: ვომე, ვრანიში, ბაუმანი, ვაგნერი
მსაჯე: მატეო ტრეფოლონი (იტალია)
36 000 მაყურებელი
ჯგუფში ყველაფერი ვარჯირობით „ვერდერის“ სასარგებლოდ მიდის. მაშინ, როცა კატალიონიაში ბობოლბემა ფრედ ითამაშეს, თომას შაფის „მუსიკოსებმა“ სოფიაში „ლევისკის“ გერმანული გაკვირილი ჩაუტარეს და ცხრილში მეორე ადგილზე აინაცვლეს. მატჩის ბედი ოთხ წუთში გადაწყდა: ვერ მეკარე მიხაილოვი უწყინარ სიტუაციაში ბურთი საკუთარ კარში შეაგდო, მეორედ ვრანიშის კუთხურს ფრანკ ბაუმანმა საგოლე თავური წყვიტა და მესამედ ტორსტენ ფრანგსმა გაისროლა საჯარიმის ხაზიდან. 84-ე წუთზე გატანა კლოზესაც შეეძლო, მაგრამ მუნდილის საუკეთესო მეგობრმა „ვასილი ლევისკი“ უგოლოდ დატოვა. ბულგარელებმა მერვედფინალში მოხვედრის თეორიული შანსიც დაკარგეს, „მუსიკოსებს“ კი შემდეგ ეტაპზე გასასვლელად „ბარსელონასთან“ ომი მოუწევთ.

ლალო ხომბერიკი
ჩელსი 4 3 1 0 8:3 10
ვერდერი 4 2 1 1 6:3 7
ბარსელონა 4 1 2 1 8:4 5
ლევისკი 4 0 0 4 1:13 0

ქოჯა მაურინიუ: ვერდერს არ დავეხვებით!

— ძალიან დაძაბული მატჩი იყო. აგებდით, მაგრამ საბოლოოდ ქულის მოპოვება შეძელით. შედეგით კმაყოფილი ხართ?
— იმ აჟიოტაჟს თუ გავითვალისწინებთ, რაც მატჩის უძღოდა, საკმაოდ კარგ შედეგს მივაღწიეთ. ახლა ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის უფრო მეტი შანსი გვაქვს.
— თავად მატჩზე რას იტყვიან?
— როგორც მენტალური, ისე ფიზიკური თვალსაზრისით, ძალიან ძნელი შეხვედრა იყო. მსაჯს უამრავი ყვითელი ბარათის ჩვენმა მოუხდა.
— დროგბას გოლმა „ჩელსი“ იხსნა...
— მსაჯის მიერ დამატებულ დროში ანგარიშის გათანაბრება მართლაც მაგარია. ეს გოლი რომ არა, მატჩს და ორ ქულას ვაგებდით. მანამდე სახიფათო მომენტები ბლომად შეგვქმენით: მაგალითად, რობენის და ბალაკის. საერთოდ, მეტოქეზე უკეთ ვითამაშეთ. ვფიქრობ, „ჩელსი“ მოგებას იმსახურებდა.
— მაგანთა აზრით, „ჩელსი“ გერმანიაში „ვერდერთან“ წააგებს, რათა „ბარსა“ ჯგუფში ჩატოვოს...
— სისულელეა. მოგებაზე უარს არასდროს ვიტყვი. მინდა, „ჩელსიმ“ მუდამ მოიგოს. ჩვენ თავმოყვარეობა გვაქვს და ბრემენში „დაწოლას“ არ ვაპირებთ...

მატჩის შედეგად ემოციებისგან დაღლილ მწვრთნელებს მედიასთან ურთიერთობის თავი არ ჰქონდათ, თუმცა მადრიდული „ასის“ ჟურნალისტებმა „კამპ ნოუს“ სტუმარ-მასპინძელთან გასაუბრება მაინც მოახერხეს...



ფრანკ რაიკარდი: ექვსი წუთი რა ამაზვიანა?!
— თამაშის დამთავრების შემდეგ თქვენც და თქვენი ფეხბურთელებიც ძალიან გაბრაზებულხართ იყავით არბიტრზე...
— ახლა მსაჯობაზე ლაპარაკს აზრი არ აქვს. ფარინამ ცუდად იმსაჯა, თუმცა „ბარსაში“ ძლიერ მეტოქესთან მინც კარგად ითამაშა. ვერ ვიტყვი, რომ ფრე არბიტრის დამსახურებაა, მაგრამ ის ექვსი დამატებული წუთი რაღა იყო, ვერ გავიგე ასეთი რამ ფეხბურთში იშვიათად ხდება.
— თამაში ისე წარიმართა, როგორც ელოდით?
— თავიდან უპირატესობას ჩვენი იყო. შესვენების შემდეგ „ჩელსის“ მეტი სახიფათო ეპიზოდი ჰქონდა, თუმცა ბრძოლა მაინც თანაბარი იყო. გუდიონსენის გოლის მიუხედავად, მეორე ტაიმში სადავეების ზეღში ჩაგდება ვერ შეეძელით. მერე რაც მოხდა, ყველამ ვიცით, დროგბამ ანგარიში გაათანაბრა.
— თავიდან ისე ჩანდა, თითქოს კოულმა, ორი ყვითელი ბარათი მიიღო და მიუხედავად ამისა, მსაჯმა ლონდონელი მოედანზე დატოვა... ჟოზე მურინიუმ კი დროგბას გოლი მეტად ემოციურად აღნიშნა...
— არ მინდოდა, ვინმე უსამართლოდ გავგლით, მაგრამ ახლაც მგონია, რომ კოულს ორი ყვითელი უჩვენეს რაც შეეხება მურინიუს, მას ფრე გაუხარდა და ასე ამბობდაც მოიქცა. „ჩელსის“ მწვრთნელის ემოციებზე ლაპარაკს არ ვაპირებ, თავისი საქმე თავად იცის...

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვაში წარმოებდებიან VEGA SLOT

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

სპარტაკი 0:1 ინტერი
0:1 კრუზი (1)
სპარტაკი: კოვალევსკი, შიშინი, ჟირანევი, შტრანცლი, გ. როდრიგესი (კავენაგი 46), კოვანი, მოცარტი, ბისტროვი (კოვალევსკი 46), ტიტოვი, ზოიარინცევი, პავლიუჩენკო
მწვრთნელი: ვლადიმირ ფედოტოვი
ინტერი: ფულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, ბურდისო, ფიგუ (გროსო 72), ძანეტი, დაკური, სტანკოვიჩი, კრუზი (სოლარი 84), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)
60 000 მაყურებელი

სპარტაკს თავაში მებრძოვი წაუბია



ბაიერნი — სპორტინგი. რომი მაკაიმ რიკარდუს ბურთი ვერ ააცილა

გაინავარდა და კრუზს სანაქებო პასი დაუგორა. არგენტინელმა ბურთს ოსტატურად მიპკრა და გაიტანა.
ბუნებრივია, ასეთი თავგადასავალი მასპინძლებისთვის მძიმე გადასატანი უნდა ყოფილიყო და ამიტომაც ვერ გაიმართა წელში „სპარტაკი“ მე-20 წუთამდე, ხსენებულ დროს კი დენის ბოიარინცევმა რომან პავლიუჩენკოს პასი მიიღო და დაარტყა, მაგრამ მეკარე ფულიო სეზარს ვერ აჯობა. რამდენიმე წუთის შემდეგ „მე-ლურჯების“ გო-

ლიკებრმა მოცარტსაც აუღო. და მაინც, „ინტერი“ იბრაჰიმოვიჩისა და კრუზის გონივრული გადაადგილებებისა და კომბინაციების წყალობით „ინტერობდა“, ერთ ეპიზოდში კი დეიან სტანკოვიჩის პასით კრუზს კიდევ ერთი გოლის შეგდება შეეძლო.
მეორე ტაიმში, კერძოდ 47-ე წუთზე, მილანელს თავაშისთვის წერტილის დასმა შეეძლო, მაგრამ იბრაჰიმოვიჩმა ლუიშ ფიგუს პასი კარიდან შეიშინო და ააცილა. თხა თხაზე ნაკლები მეგობა შეჭამოსო და, ბრაზილიელმა მაიკონმა იბრაჰიმოვიჩის მიწოდებული ბურთი პირდაპირ მეკარე ვოიცეხ კოვალევსკის მთარტყა.
ამის შემდეგ „სპარტაკი“ გაყოჩაღდა, ბურთი ფერხთ იგდო და წინ წაწეულმა ვაწვილკაცმა რომან შიშინმა ხარისხსაც შეაწყვიტა ბურთი, თუმც ბოლო მომენტი ისევ მილანელთა იყო — იბრაჰიმოვიჩის კოვალევსკიმ აუღო.
ბაიერნი 0:0 სპორტინგი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, დემიკლინი, ვან ბუიტენი, ლამი, ლელი (ხ. დოს სანტოსი 46), ოტლი, სანტა კრუზი (ქარიში 80), სალიმამიჯინი, მაკაი, კ. პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
სპორტინგი: რიკარდო, მ. კანერი, ტონელი, ანდერსონ პოლგა, ტელი, პარედესი (ფარნერუდი 52), კუმბუ

დიუ, მუტინიუ, მარტინში (ნანი 46), დიალო (ბარბოსა 77), ლიდსონი
მწვრთნელი: პაულუ ბენტუ
გაფრთხილება: ვან ბუიტენი, დემიკლინი, კუმბუდიუ, ლიდსონი
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
66 000 მაყურებელი
მიუნხენელითა ტრავმებით დაზარალებულმა გუნდმა პორტუგალიელ მეტოქესთან ვერც გაიტანა, არც გაუშვა და პლეი ოფში გავიდა. ამრიგად, ფრე „ბაიერნისთვის“ სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, მაგრამ რომი მაკაის სამივე საგოლე მომენტი რომ გამოეყენებინა, შედეგი და ანგარიში სულ სხვა გამოვიდოდა. ერთი სიტყვით, ამის რეალური შანსი იყო: ყველაზე კარგი მომენტი ჰოლანდიელს მე-17 წუთზე ჰქონდა, როდესაც როკე სანტა კრუზის პასით მაკაი მეკარე რიკარდუსთან პირისპირ შევიდა, მაგრამ მიზანს გადააკლია.
ფელიქს მაგათი, „ბაიერნის“ მწვრთნელი: „ბუნებრივია, სამი ქულა უფრო მესამომეობოდა, მინდოდა ჩემს გუნდს უკეთეს ეთამაშა, მაგრამ ტრავმების გამო საუკეთესო შემადგენლობა არ გვყავდა და მაქსიმუმში ვერ შევძელით“.
პაულუ ბენტუ, „სპორტინგის“ მწვრთნელი: „პირველ ტაიმში მეტოქეს ვავიბეთ, მაგრამ საკუთარი თავის რწმენამ გვიდალატა. მეორე ნახევარში „ბაიერნი“ იძალა, განსაკუთრებით კი რომი მაკაი გამოირჩეოდა“.

ბაიერნი	ბაიერნი	ბაიერნი	ბაიერნი	ბაიერნი	ბაიერნი
4	3	1	0	7:0	10
ინტერი	4	2	0	2	3:4
სპორტინგი	4	1	2	1	2:2
სპარტაკი	4	0	1	3	2:8

ВНИМАНИЕ, ВНИМАНИЕ! ДВЕРИ ОТКРЫВАЮТСЯ, В ВАГОН ВОШЁЛ СПАРТАЧЁК



აი, სპირი! მოსკოვის „სპარტაკი“ „ინტერის“ წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის თამაშზე მეტროთი მივიდა! მიზეზი: კლუბის ავტობუსი მოსკოვის მოყინულ გზებზე საცობში მოხვდა. მარშრუტი, რომლის გავლაც ფეხბურთელებს მიწისქვეშა მატარებლით მოუხდათ, თუ ეს დასახელებები რამეს გეუბნებათ, ასეთი გამოდგა: სუხარევსკაია-ვორობიოვი გორი.
წარმოიდგინეთ, მიდიან რუსი ფანატები მეტროთი თამაშზე და ჰოპ, მათ ვაგონში „სპარტაკია“. როგორ

ნატებმა იცნეს და უთხრეს, საითაც უნდა წასულიყო. სხვათაშორის, კავენაგის ბერჯერ უთქვამს, რომ მოსკოვში საცობში მოხვედრას სათადარიგოთა სკამზე ჯდომა სჯობს.
კიდევ კარგი მოფიქრებულმა ხალხმა ფეხბურთელებს სადგურ „ვორობიოვი გორისთან“ ახალი ავტობუსი დახვედრა, ხოლო რაც შეეხება „იმ“ პირველ ავტობუსს, რომელსაც მატვეიჩი მართავდა, პირველი ტაიმის ბოლოს მივიდა „ლუჩინკებზე“.
„გავიყდი, რამდენი ხალხი ყოფილა მეტროში“ — ხელეები გაშალა „სპარტაკის“ ავსტრიელმა მცველმა მარტინ შტრანცლმა.
კაპიტანმა ეგორ ტიტოვმა კი აღიარა, რომ მეტროში 1990 წლის შემდეგ აღარ მჯდარა.
„სხვა გამოსავალი არ გვქონდა — თქვა მან — ჩვენი ავტობუსი გაჩერდა და ძვრას ვეღარ აკეთებდა. მგონი ჯამში 40-45 წუთი ვიბოდიადეთ. მეტროში ძალიან ცხელია“.



ვის იცის, რომან პავლიუჩენკო „სუხარევსკაიას“ სადგურში ბოლოს როდის იყო

კენიელაბი შაემოდგომაზე მარათონებს ითვლიან

სამელაოსნო სეზონის მიწურულს სულ აიწყვეტეს კენიელმა მარათონელებმა და კვირა არ გავა, დედამიწის სულ სხვადასხვა კუთხეში ორი-სამი 42-კილომეტრიანი გარბენი რომ არ მოივონ.

ბოლო დღეებში ფეხმარდმა კენიელებმა და ეს, პირველ რიგში კაცებზე ითქმის, ერთბაშად სამ საკმაოდ პრესტიჟულ მარათონში იმარჯვეს — ამერიკულ დეტროიტში, გერმანულ ფრანკფურტსა და მშობლიურ ნაირობიში.

ნაირობული ამბავი ცალკე გამოსაყოფია — კენიის მტვრიან გზებზე გაზრდილ-დაოსტატებულ ვოგო-ბიკებს შინ იშვიათად უწევთ სირბილი და მართალია, მრავალმა სახელიანმა კენიელმა ნაირობიში ჩასვლა იუარა, შეჯიბრი მაინც გვარიანი სანახავი გამოდგა.

კაცთა შორის დიდი უპირატესობით იმარჯვა ჰოსეა კიპრორ როტიჩმა, რომელმაც 42 კილომეტრს 195 მეტრით აღმატებული გზა 2 საათში, 10 წუთსა და 21 წამში და უახლოესი მეტოქე და თანამემამულე კიპჩოგ კიპლაამატი 2 წუთით და 43 წამით ჩამოიტოვა.

გაცილებით დიდი იყო ქალთა გამარჯვებულის, რა-ლა თქმა უნდა კენიელი ირენ ჩეროტიჩის უპირატესობა. ამ შავ ვოგოს შარშან ცოტა დააკლდა პირველობამდე და წელსაც იგივე არ მომივიდესო, თავიდანვე ისე გაქუსლა, მისი დამწვევი აღარავინ გამოჩენილა — ირენმა მარათონული გზა 2 საათში, 32 წუთსა და 39 წამში გალია და მეორე ადგილზე გასულ ჩინელ ზიუ ჟანგს თითქმის 5 წუთით აჯობა.

თუ ნაირობიში კენიელმა კაცებმა მესამე ადგილი უგანდელ ალეკს მუნინგას დაუთმეს, ფრანკფურტში მთლიანად დაიპყრეს კვარცხლბეგი — ვილფრიდ კიგენმა ფინიშს პირველმა უწია 2 საათის 9 წუთისა და 6 წამის შემდეგ და მას უკან მოხვს არუსეი და ფრანსის ბოუენი მიჰყვნენ.




ჰოსეა კიპრორ როტიჩმა მშობლიური მარათონი მოიგო

სადაც კენიელი კაცებისას ვამბობთ, იქ რუსი ქალებისაც უნდა ვთქვათ — ფრანკფურტის მარათონის მდებარეობით განყოფილებაში სვეტლანა პონომარენკომ აჯობა ყველას, ხოლო ოკეანის გადაღმა, დეტროიტში, ელენა ორლოვა იყო საუკეთესო. დეტროიტის კაცთა მარათონი კი, ბუნებრივია, კენიელმა ჯოზეფატ ონჯერიმ მოიგო.

ოთარ მხიქია

ავტობიოგრაფია

სენა მოგზავნდა: ბრუნო



მს არის 23 წლის ბრაზილიელი ბრუნო სენა, მსოფლიოს სამეზბის ჩემპიონ მეფორმულის, აირტონ სენას უფროსი დის, ვივიენის შვილი.

ბრუნო ათ წლამდე კარტინგში გამოდიოდა და არცთუ ურიგოდ, მაგრამ 1994 წელს იტალიაში, იმოლას ტრასაზე ლეგენდარული ბიძის დალუპვის შემდეგ ოჯახმა რბოლებში მონაწილეობა აუკრძალა.

დაკაცებული ბრუნოს დაჟინებული მოთხოვნით, ტაბუ ათი წლის შემდეგ აიხსნა. მან შეძლო დედის დაყოლიება, რომ ავტოკარირის გაგრძელების ნება მიეცა. 2004 წელს ისევ კარტის საჭეს მიუჯდა, მა-

გრამ ამ საქმისთვის უკვე მობერებული იყო, რადგან თავისზე თითქმის ორჯერ უმცროს ბიჭებთან მოუწევდა გაჯიბრება, თანაც დასაწყისშივე რამდენიმე ნეკნი გაიტეხა.

აირტონის ახლო მეგობრის, ფორმულა 1-ის ექსპლოატ გერჰარდ ბერგერის რჩევითა და მხარდაჭერით, ბრუნომ იმავე წლის ბოლოს ავტობოლაში სცადა ძალა — ფორმულა „რენოს“ და BMW-ს მანქანებით, ხოლო შარშან ბრიტანულ ფორმულა 3-ის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. სადებიუტო სეზონში ორ პოულსა და სამ პოდიუმს სუსტი შედეგი ნამდვილად არ ეთქმის.

გია ახალაძე

ჩინური სპაო აპერიკისტობის

პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე მოცურავეთა და ტანმოვარჯიშეთა ფინალური შეჯიბრებების დილის საათებში გადატანასთან დაკავშირებით ევროპის სამაუწყებლო კავშირმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში საპროტესტო წერილი აფრინა.

საქმე ისაა, რომ ამ სახეობებში ფინალური შეჯიბრებების გრაფიკი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ამერიკის ტელეკომპანიების სასარგებლოდ მიიღო, რომლებსაც პეკინიდან პირდაპირი ტელერეპორტაჟების გადაცემა განუზრახავთ, სოკის გადაწყვეტილებამ კი ევროპის ტელევიზიების წარმომადგენელთა უკმაყოფილება გამოიწვია. ევროპის სამაუწყებლო კავშირის პრეზიდენტი ფრიც პლიატგენის თქმით, მისი ორგანიზაცია სოკის გადაწყვეტილებით გაწვილებულია, რადგან იგი არღვევს შეჯიბრებათა გამართვის ტრადიციებს, რაც ტერიტორიებსა და დროის სარტყელებს არ უკავშირდება.

ფრიც პლიატგენი ამბობს, რომ მისი ორგანიზაცია ევროპული აუდიტორიის ინტერესთა გათვალისწინებით ამ პრობლემის გადაჭრის გზებს გამოძებნის, მაგრამ საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ საკითხზე თავად ჩინელები და უცხოელი უძლიერესი სპორტსმენები.

ჩინელმა სპორტსმენებმა სოკის ამგვარ გადაწყვეტილებას უსამართლო უწოდეს. ჩინელ მოცურავეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ჩუან იაღონმა განაცხადა,

რომ მომავალი სეზონიდან ისინი იძულებულნი გახდებიან, შეცვლიონ თავიანთი შიდა შეჯიბრების ჩატარების გრაფიკი იმგვარად, რომ მან ზუსტად გაიმეოროს ოლიმპიური განრიგი. ამიტომაც მოგვიწევს 6 საათსა და 30 წუთზე ვალდებუბა, რათა 8 საათსა და 30 წუთზე კარჯიში და შეჯიბრებაც დაიწყოთ — თქვა ჩუან იაღონმა.

ჰოკეი

რეგულარული ჩემპიონატი

31 ოქტომბერი

პანაშვირი 2:3 ნაზვილი 0:2 1:0 1:1	ფლორიდა 1:2 სან ხოსე 0:0 1:0 1:1
0:1 რადფოლი (6), 0:2 სიტერი (9), 1:2 ოლუნდი (38), 2:2 ნესლუნდი (49), 2:3 სალივანი (55)	1:0 იოკინენი (27), 1:1 ტორნტონი (42), 1:2 ერპოფი (60)
მონრეალი 4:2 ოტავა 0:0 2:0 2:2	აილენდერსი 5:2 ჩიკაგო 1:0 2:1 2:1
1:0 შიგინსი (26), 2:0 კოვალიოვი (39), 2:1 სპეცა (47), 3:1 მარკოვი (59), 4:1 ბეგინი (60), 4:2 პრეისინგი (60)	1:0 იორკი (19), 2:0 კოზლოვი (32), 3:0 იაშინი (35), 3:1 კალიმორი (36), 3:2 არხიპოვი (42), 4:2 სილინჯერი (58), 5:2 ბლეიკი (60)



მონრეალელმა სტივ ბეგინმა გოლიც გაიტანა და ოტაველთა კარიც

